

ინტერნეტისა და სოციალური ქსელის გამოყენების მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროცესში

*შენგელია ნანა – ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*შონია ნანა – პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

Importance of Using of the Internet and Social Network in Education

*Shengelia Nana – Associate Professor, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Georgia*

*Shonia Nana – Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Georgia*

Abstract

Introduction and aim: Discussions about the importance of the role of the Internet and a large range of its use are still relevant. The Internet is widely used in almost every aspect of modern human life. Modern medicine highlights the dangers that point to the transformation process of the modern human into a cyberman. However, this theory has not absolutely been proven yet. The subject of our research is the growth of the role of the Internet use and its importance in education. It is an undeniably true that without the use of the Internet it is impossible not only to manage documentation but to maintain positive learning environment, not to mention the advantages of distance learning. Georgia with its educational space is a full member of the Bologna Process and gradually introduces new standards. On the basis of the latter Georgia is in compliance with European standards of education. However, some difficulties are still observed. What are the benefits of the Internet, electronic management of documentation, electronic library, and the use of social networks in the educational process and document management? It sounds like a rhetorical question, but we cannot avoid the number of supportive arguments. The first and most important argument is accessibility of information, the simplicity of communication, efficiency and other multiple positive traits. Our research has shown the benefits of online cooperation, a high rate of student engagement, interest, and fairness of responses. Only a very small percentage ignored the questionnaires and responded in a frivolous way. According to the results of statistical studies the survey of the direct participants of the educational space has been and always will be interesting for the audience. 70% of the respondents believe that online relations are additional but also one of the most important factors of the educational process.

Research methodology: The methods used during the study are as follows: group interviews, questionnaires, naturalistic observation, structured interviews and content analysis.

Results and implications: The study has shown that in the field of education online relations are one of the positive stimulants of the participants directly involved in the educational process. This result can be considered as an extra but one of the most important components for the improvement of the educational process.

Conclusion: In the field of education the use of electronic systems of the documentation management and introduction of electronic activities in the educational process remain to be one of the priority issues. The principles to improve distance learning should be discussed as well. Carrying out periodical statistical analysis will give us a clearer picture of the expected results. This will make the working process, as well as the teaching-learning process much easier for the individuals (teachers, pupils, lecturers, students) involved in the educational process. The Internet and social networks along with other key arguments are its defining and determining factors. To reach the maximum level of involvement it is appropriate and necessary to have dynamic communication with the direct participants, to raise their awareness. Moreover, it is expedient to periodically conduct master classes and workshops for those involved in the electronic management of documentation. It is recommended to use protected, controlled websites and other types of online resources to improve the process.

Keywords: internet resource, online relations, learning process, dynamic

ინტერნეტის როლის მნიშვნელობასა და გამოყენების ფართო არეალზე საუბარი აქტუალობას არ კარგავს. აღარ არსებობს თანამედროვე ადამიანის ყოფაცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც ინტერნეტს მყარად არ ქონდეს ფესვები გადგმული. თანამედროვე მედიცინა საუბრობს იმ საფრთხის შესახებაც, რომელიც თანამედროვე ადამიანის კიბერადამინად ჩამოყალიბების პროცესზე მიგვანიშნებს. თუმცა, აბსოლუტურად დამტკიცებულად ეს თეორია ჯერჯერობით არ ჩაითვლება.

ჩვენი კვლევის საგანს საგანმანათლებლო სივრცეში ინტერნეტის გამოყენების როლის და მნიშვნელობის ზრდა წარმოადგენს. უდაო ჭეშმარიტებად აღიარებადია ის თეზაც, რომ დღეს საგანმანათლებლო სისტემებში ინტერნეტის გარეშე არა თუ საქმის წარმოება, არამედ სასწავლო პროცესებიც კი წარმოუდგენელია. არაფერს ვამბობთ დისტანციური სწავლების უპირატესობებსზე. ქართული საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ბოლონიის კონვენციის სრულყოფილებიანი წევრია, თანდათან ამკვიდრებს ახალ სტანდარტებს, რომლის საფუძველზე შესაბამისობაში მოვდივართ ევროპული განათლების სტანდარტებთან. თუმცა ჯერ კიდევ ფიქსირდება სირთულეებიც.

რა უპირატესობები აქვს ინტერნეტის, სოციალურ ქსელის გამოყენებას სასწავლო პროცესში? კითხვა თითქოს რიტორიკულად ჟღერს, მაგრამ ვერ გავექცევით დამადასტურებელი არგუმენტების რაოდენობასაც. პირველი და უმთავრესი არგუმენტებია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კომუნიკაციის დამყარება, ოპერატიულობა და მრავალი სხვა დადებითი მახასიათებელია. ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენეს ონლაინ თანამშრომლობის უპირატესობები, სტუდენტთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი, დაინტერესება, პასუხების სამართლიანობა. გამოკითხულთა მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტის მხრიდან დაფიქსირდა კითხვარების უგულვებლყოფა ან არასერიოზული პასუხები.

სოციალურ ქსელებში ღია ან დახურული ჯგუფის შექმნა კონკრეტული დისციპლინების ან ლექტორისა და ჯგუფის წევრების ონლაინ თანამშრომლობის ულიმიტო ურთიერთობას მიანიშნებს. დისციპლინისთვის გამოყოფილი კონკრეტული საათების გარდა, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის აქტიური ლექტორი ხშირად მიმართავს და იყენებს დავალებების შესახებ ჯგუფის ინფორმირებულობას ონლაინში, განხილვას, კომენტარების და პოზიციების გაცნობას, რაც გადის უკვე დადებით შედეგზე. ამ პროცესების უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინოა იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას არ ახასიათებთ თამამი საუბრის სტილი. მათ სოციალურ ქსელში ლექტორთან ონლაინ ურთიერთობა აძლევთ საშუალებას უფრო თამამად გამოხატონ თავიანთი აზრები, შესაძლებლობები და უნარები. ეს კი სასწავლო პროცესის უკეთესი შედეგის დამატებითი, დადებითი ფაქტორებია.

კვლევამ აჩვენა, რომ ცოდნის დაგროვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ღირებული და უკვე აუცილებელი წყარო გახდა ინტერნეტი. საზოგადოება დღითიდღე უფრო და უფრო ვითარდება, რაც პირველ რიგში სწორედ ცოდნის დაგროვებას უკვამირდება. ნებისთ თუ უნებლიეთ ყოველ დღე ვცდილობთ მივიღოთ ახალი გამოწვევები და ამის ხარჯზე დავზოგოთ საკუთარი დრო. თანამედროვეობის მიღწევები, კერძოდ ინტერნეტი, ციფრული ტექნიკა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ინტერნეტმედიის საშუალებით მომხამრებელმა, ანუ როგორც ლექტორმა, ასევე სტუდენტმა თუ მოსწავლემ, შეძლოს მყისიერად გაეცნოს უახლეს ინფორმაციებს,

კვლევებს, შედეგებს... „მიიღოს მისთვის სასურველ თემატიკაზე შექმნილი, დაწერილი ნებისმიერი ინფორმაცია. ეს საკმაოდ მოსახერხებელი და ეფექტური მეთოდია დროის მოკლე მონაკვეთში სასურველი ინფორმაციის მიღებით თვალსაწიერის გაფართოების. სწორედ ოპერატიულობა წარმოადგენს ინტერნეტის მთავარ ღირსებას. [2]

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მით უფრო თუ ეს დისციპლინა მოითხოვს ლაბორატორიული ცდების ჩატარებას, რუკების, დიაგრამების თვალსაჩინოებას, სასწავლო პროცესში მეტად ხელსაყრელი ხდება ინტერნეტში არსებული რესურსის გამოყენება. ეს საინტერესო, სახალისო და ვირტუალური პროცესია, რაც უფრო ზრდის დასწრების ილუზიას და ეფექტს. შედეგი მეტად ხელსაყრელია. სასწავლო პროცესში ჩართული პიროვნებებისთვის ცოდნის მიღების ეს საშუალებაც მისაღები და ხელსაყრელია.

თანამედროვე მსოფლიოში ინტერნეტის როლი დღითიდღე შეუცვლელი ხდება. იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნეტის მომხმარებელია. შესაბამისად, ამ კატეგორიას ურჩევნიათ სასურველი ინფორმაცია, სწორედ ინტერნეტის საშუალებით მიიღონ და არ დახარჯონ დრო წიგნების ბიბლიოთეკიდან გამოტანის, ტრანსპორტირების თუ მისი მოხმარებისას. „ინტერნეტის მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით 1995 წლისთვის ინტერნეტის მომხმარებელთა საერთო რაოდენობა, მსოფლიო მოსახლეობის 0.4 % შეადგენდა და დღეს ულკვე 30%. ამრიგად, სულ რამდენიმე წელიწადში ინტერნეტი მილიონობით ადამიანისთვის ინფორმაციასთან წვდომის უნივერსალურ წყაოდ იქცა-ყველგან და ყოველთვის“. [2]

იქედან გამომდინარე, რომ ინტერნეტი ან ინტერნეტ მედია, სოციალური ქსელები საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერესის ობიექტს წარმოადგენს, დღითიდღე მატულობს ასეთი პროდუქციის რიცხვი. დღეს უამრავი საიტი არსებობს, რომელიც საინტერესო და საგანმანათლებლო დანიშნულებისაა. შეიცავს უამრავ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ჩვენგანისათვის ცხადია თუ რამდენად მომგებიანია ინტერნეტის საშუალებით ჩვენი ცოდნის გაფართოება, ხშირად მაინც გვავიწყდება ინტერნეტის ეს ნამდვილად დასაფასებელი ღირსება და მხოლოდ გართობისთვის ვიყენებთ ინტერნეტს. ეს კი დადებითად არ მოქმედებს ადამიანის არც ჯანმრთელობაზე და არც არაფერს ღირებულს ვსწავლობთ. ამიტომ მნიშვნელოვანია ვაკონტროლოთ საკუთარი თავი. თუკი ინტერნეტს გააზრებულად მივმართავთ იმისთვის რომ სასურველი ინფორმაცია მოვიძიოთ, მაშინ აღარ უნდა გადავერთოთ სხვა საკითხებზე და ვცადოთ რაც შეიძლება სარფიანად გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიის ეს მნიშვნელოვანი ღირსება.

სასწავლო პროცესში უკვე ლექტორს, მასწავლებელს პროცესის წარმმართველის ფუნქცია დაეკისრა, რადგან დღეს გაჩნდა ცოდნის მიღების მრავალი ალტერნატიული წყარო. ერთ ძირითად სახელმძღვანელოს დღეს დაემატა ინტერნეტრესურსები სხვა წყაროების სახით, საიდანაც დაინტერესებულ პირს დამოუკიდებლად შეუძლია ინფორმაციის, მაშასადამე ცოდნის მიღება. თუმცა აქ მეორე უკიდურესობასაც უნდა მიექცეს ყურადღება. საუბარია ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადზე. შესაბამისად, ისმება აქტუალური კითხვა, რამდენად შესწევთ ძალა და უნარი დამოუკიდებლად მიიღონ და დაახარისხონ საჭირო ან არასაჭირო ინფორმაცია სტუდენტებმა თუ მოსწავლეებმა. აქ უდაოდ იზრდება პედაგოგის როლი, სწორედ ის არის ამ ცოდნის მიღების და დახარისხების პროცესის წარმართველი.

მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში უკვე წარმატებით ხორციელდება ონლაინ სწავლება, სადაც მონაწილეები იღებენ სერტიფიკატებს. ამ ტიპის კურსები ხშირად უფასოა. მსგავსი სწავლება განათლების მიღების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რაც სტუდენტს ცოდნის შეძენის დამატებით საშუალებას აძლევს. საქართველოს უნივერსიტეტებში ეს საკითხი ჯერჯერობით მოგვარებული არ არის. ეს მაშინ როცა ბევრ ქვეყანაში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ონლაინ გავლაც კი არის შესაძლებელი. იმ ქვეყნებში ასეთი ონლაინ სერთიფიკატი რეალურისგან არაფრით არ განსხვავდება და აღიარებულია. სწორედ მსგავსი ონლაინ კურსები, ინტერესის სფეროს მიხედვით, შესაძლებლობას იძლევა სასწავლო პროცესი უფრო დაიტვირთოს დამატებითი საშუალებებით, რაც სასწავლო პროცესს აშკარად გააუმჯობესებს. უნდა ვაღიაროთ რომ ინტერნეტში უამრავი რესურსია თავად ლექტორ/მასწავლებლის ცოდნის ჰორიზონტის განსავითარებლადაც. წლების წინ წარმოუდგენელი იყო ქვეყნიდან გაუსვლელად მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებში განათლების მიღება. ამ მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ერთდროულად რამდენიმე უნივერსიტეტშიც კი ისწავლოს ონლაინ.

„სწავლების ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უმთავრეს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად ითვლება. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილება, რაც აუცილებელია საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმისათვის. ინფორმატიზაცია, ინფორმაციის მოპოვება 21-ე საუკუნის საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად მოგვევლინა. ინტერნეტ ტექნოლოგიების ათვისება და ყველა სფეროში დანერგვა სწავლის პროცესისა და ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრების კანონზომიერი პროცესია. ამიტომაც ამ მიღწევისთვის ერთადერთ რეალურ გზად გვესახება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ინტერნეტ ტექნოლოგიების ფართო დანერგვა. დისტანციური სწავლება არის ცოდნის მიღების ახალი მეთოდი. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება კომუნიკაცია. [3]

რატომ არის მნიშვნელოვანი დისტანციური სწავლება? დისტანციური სწავლება ნიშნავს შორი მანძილიდან სწავლებას, როცა ორი სუბიექტი-სტუდენტი და ლექტორი ერთმანეთისაგან განცალკევებული არიან, როგორც დროში ასევე სივრცეში. ასეთი განსაზღვრა შეიძლება ერთგვარ გაურკვევლობას იწვევდეს. მაგრამ ეს მართლაც ასეა, რადგან სწავლების დიდი ნაწილი, მიმდინარეობს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების და უახლესი ტელეკომუნიკაციური სისტემების გამოყენებით. ეს არის სწავლების ფორმა, რომელიც შექმნილია სპეციალურად სტუდენტისათვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ან კაბინეტში ფიზიკურად არ იმყოფებიან. ეს არის პროცესი, რომელიც ქმნის და ხელმისაწვდომს ხდის სწავლას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისაგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან. კარგად ორგანიზებული დისტანციური სწავლა მრავალფეროვანს ხდის სწავლებისა და სწავლის სტილს. შესაბამისად, ის ისეთ ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს სრულყოფილად უზრუნველყოს კომპიუტერის და ინტერნეტის მეშვეობით სტუდენტისთვის ისეთი განათლების მიწოდება, როგორსაც ის უნივერსიტეტში ყოველდღიური სიარულითა და ლექციაზე სისტემატური დასწრების შედეგად მიიღება, ასეთ სისტემას უნდა შეეძლოს

სრულყოფილად განახორციელოს სასწავლო პროცესის კონტროლი, უზრუნველყოს კავშირი სტუდენტსა და ლექტორს შორის.

განათლების სისტემაში გამოყენებული საკომუნიკაციო ქსელების სასუალებით განხორციელებული ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა სტუდენტს და ლექტორს ეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სასწავლო გარემოების გაანალიზებაში, სწავლების დაგეგმვის მენეჯმენტის განხორციელებაში. ინფორმაციის მიღება და გაცვლა-გამოცვლის ასეთ მენეჯმენტს, უწოდებენ დამაკავშირებელ ანუ საურთიერთობო პროცესს. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი დანიშნულებაა არა მარტო ის, რომ სტუდენტი აღიჭურვოს ცოდნით, არამედ ეს ცოდნა შეძენილი იყოს ისეთი აქტიური და შემოქმედებითი ფორმით, რომელიც სტუდენტს დაუბრკოლებლად მისცემს საშუალებას განათლება მიიღოს უწყვეტად, უნივერსიტეტს გარეთაც და სწორედ განათლების მიღების ასეთი პერსპექტიული ფორმაა დისტანციური სწავლება. დისტანციური სწავლების ელემენტების გამოყენება დიდი იმედების მომცემია როგორც მასწავლებლისათვის, ისე სტუდენტისათვის. სასწავლო მასალის უმეტესი ნაწილის გადატანით დისტანციური სწავლების რეჟიმში, მასწავლებელს ბევრი გამონთავისუფლებელი დრო დარჩება იმისთვის, რომ ფართოდ გამოიყენოს დისკუსიები, საქმიანი თამაშები, გადაწყვიტოს სასწავლო პრობლემები და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლება არის საუდიტორიო სწავლის პროცესის გაგრძელება. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია სალექციო მასალა წარმოდგინილი იქნას ელექტრონული სახით, მისცეს სტუდენტებს საშინაო დავალებები, ჩაუტარდეს ტესტირებები და მრავალი სხვა. ყველაფერი დამოკიდებულია თვით ლექტორის მომზადებასა და ინიციატივაზე. საზღვარგარეთ ბევრი მასწავლებელი, რომელიც იყენებს ასეთ შერეული სწავლების მიდგომას, აღნიშნავს, რომ ისინი ზოგავენ დროს და ზრდიან სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენების უნარს. ონლაინ სწავლა ტრადიციული განათლების ყველა ფორმის ორგანიზაციული, მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფის თვისებრივი სახეცვლილებაა, ხასიათდება ევოლუციურობით, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების კანონზომიერი მოვლენაა და რეალიზებულია ახალი ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტენოლოგიების საშუალებით. [4]

უნდა ვისაუბროთ ონლაინსწავლების უარყოფით მხარეებზეც. ლექციის ინტერაქტიულობა და ჯგუფური მუშაობა აქ ნაკლებია. თუმცა ტექნოლოგიების საშუალებით ამ მინუსების აღმოფხვრაც იწყება. რადგან შესაძლებელია სადისკუსიო ჯგუფის შექმნა, სადაც როგორც ლექტორს ისე სტუდენტს შეუძლია კონკრეტულ საკითხზე მონახოს თანამოაზრე, შეიძლება ეს ციფრი საკმაოდ დიდიც გახდეს, გააჩნია თემისადმი დაინტერესების ხარისხს. ეს ფაქტორიც განვითარების საინტერესო ფაზაშია და დღითიდღე მეტი ლექტორი და მასწავლებელი იყენებს ონლაინ ჯგუფში კონკრეტული თემის თუ საკითხის განხილვის დამატებით გზას. ასეთივე უარყოფით ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ისიც, რომ ლექციების შემდეგ ვერ ხერხდება სტუდენტების დროის ერთად გატარება და პირადი ურთიერთობები. ეს მინუსები სხვა ფსიქოლოგიურ ფატორებთან ერთად გასათვალისწინებელი და ანგარიშგასაწევია, თუმცა ფაქტია რომ განათლების სიტემა მთლიანად შეიცვლება უახლოეს მომავალში, ინტერნეტის დამსახურებით თავად სისტემა უფრო დაიხვეწება და უფრო ეფექტური გახდება ვიდრე დღეს.

[5]

საგანმანათლებლო სფეროს არეალში განხორციელებული სტატისტიკური კვლევების შედეგების მიხედვით აუდიტორიისათვის საინტერესო იყო აღნიშნული საკითხისადმი საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, ანუ კვლევაში მონაწილეობა. რესპონდენტთა 70-% საწავლო პროცესში ინტერნეტის გამოყენების მცირე დროსა და არც თუ სახარბიელო მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ საუბრობს.

მისასალმებელია, რომ უკანასკნელ წლებში სასწავლო პროცესში ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების მაჩვენებელი იზრდება, თუმცა სტუდენტთა და ლექტორთა გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვლავ თავს არიდებს სიახლეების გათავისებას. კვლევებით დადგინდა, რომ რიცხოვრები მაჩვენებელი საგრძნობლად არ იმატებს. ეს მიანიშნებს, რომ ყოველწლიურად ერთი და იგივე პროცენტული მაჩვენებელი აქტიურობს, როგორც თავად ლექტორების, ასევე სტუდენტების მხრიდან. სასურველია კომუნიკაციის და მონიტორინგის გააქტიურება ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა მოხდეს როგორც ლექტორების ინფორმირებულობა ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების უპირატესობაზე სასწავლო პროცესში, ასევე სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხშირად მიწოდება, ამ საკითხის უპირატესობაზე, რათა მათ მიერ მიღწეული იქნას დადებითი შედეგი, რაც გამოხატული იქნება მიღებული მაღალი შეფასებების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩაჩანიძე გ, სანთარია ვ. ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები. თბილისი 2004. გვ: 132-136.
2. (<http://intermedia.ge>) (საზოგადოებრივი//ინტერნეტ მედიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში//2014, 29 დეკემბერი, 15:52)
3. <file:///C:/Users/nana.sharabidze/Desktop/Fosta/1962.pdf> სწავლების ახალი მეთოდოლოგია-ონლაინ სწავლა დარეჯან გელაძე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. <file:///C:/Users/nana.sharabidze/Desktop/Fosta/1962.pdf>
5. <http://rcs.ge/?p=1169> როგორ მივიღოთ განათლება დისტანციურად,ონლაინ კურსების საშუალებით? სალომე აფციაური. სასკოლო კვლევების ცენტრი.